● **ფულადუგი.** ამას წინათ მექვენის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა შაბათობა მოაწყეს. განისჯალის ფერდობებსა და ეროზიულ ნაკეთებზე დარგეს სხვადასხვა ჯიშის 4.500 ძირი ნერგი.

ფ. დარსაველიძე.

● **ბოდაბინკა.** ოცდათოთხმეტი წელია ე. ეარკოვი ტრაქტორისტად მუშაობს. იგი არაერთხელ დაჯილდოებულა საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით. მას მეკრეს უფროსენებს სხრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯილდო — საუკეთესო ტრაქტორისტის სამკერდე ნიშანი.

უკანასკნელი წლების მანძილზე ე. ეარკოვი წარმატებით ხელმძღვანელობს სოფელ ორდოკის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადას. მისმა ბრიგადამ სასასელოდ იშრომა. გასულ წელს საკოლმეურნეო მინდვრიდან პირუტყვის საზამთრო სადგომებამდე გადმოზიდა 1.550 ტონა თივა, 244 ტონა ნაჯა, მზრალად მოხნა 550 ჰექტარი.

ფ. კონკინი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 8 იანვრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოდა ამხ. ბენიამინ ეგორაფის-ძე **დალაქიშვილი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის კონსულტანტი — განათლების დარგსა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ კავკასიისათვის ბრძოლასა და საბჭოთა არმიის მომდევნო შეტევითს ოპერაციებში სხვებთან ერთად თავი ისახელეს მე-18 არმიის ჯარებმა, რომლებმაც ბევრი მკაფიო ფურცელი ჩაწერეს დიდი სამამულო ომის მატიანეში. სხვადასხვა დროს არმიას მეთაურობდნენ გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავრები ა. ა. გრეჩკო და კ. ნ. ლეკსელიძე. ჯარებში პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას მეთაურობდა არმიის პოლიტგანყოფილების ყოფილი უფროსი ლ. ი. ბრეჟნევი.

მოსკოვში არსებობს მე-18 არმიის ვეტერანთა სრულიად საკავშირო სექცია. მას მჭიდრო კავშირი აქვს არმიის ყოფილ მეომრებთან, პროპაგანდას უწევს ომის მონაწილეთა გმირულ საბრძოლო ტრადიციებს.

ამ არმიის რიგებში იბრძოდა ათასობით მეომარი საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან. მარტო საქართველოში მე-18 არმიის დაახლოებით ათასი ყოფილი მეომარი ცხოვრობს. ამჟამად თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლთან არსებული ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმის მუშაკებმა დაიწყეს მუშაობა ამ ვეტერანთა სიების დასაზუსტებლად, მასალების, დოკუმენტების, მოგონებების, ფოტოსურათების შესაგროვებლად, რომლებმაც უნდა შეავსონ და გამდიდრონ გმირული მე-18 არმიის საბრძოლო გზის ისტორია.

ეს საკითხი განიხილეს არმიის ვეტერანთა კრებაზე, რომელიც ამას წინათ მუზეუმში გაიმართა. კრება გახსნა მე-18 არმიის ვეტერანთა სრულიად საკავშირო სექციის რწმუნებულმა გადამდგარმა გენერალ-მაიორმა ვ. ზარეულამ.

კრებაზე გამოვიდნენ არმიის პოლიტგანყოფილების ყოფილი ინსტრუქტორი, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი დ. ჯაბუა, სამედიცინო სამსახურის გადამდგარი კაპიტანი, ამჟამად მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ქოიავა, რომელიც ომის წლებში საველე ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების უფროსად მუშაობდა, ოფიცერთა ყოფილი მეთაურები გადამდგარი ოფიცრები ა. მუსიევი და მ. მთვრალაშვილი, ნაღმტყორცნელთა ასეულის ყოფილი მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი თადარიგის პოლკოვნიკი პ. წიქორიძე და სხვები.

მათ ერთსულოვნად მოიწონეს წინადადება, რომ შეიქმნას მე-18 არმიის ვეტერანთა თბილისის სექცია.

მე-18 არმიის ვეტერანებმა დიდი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. წერილში გამოთქმულია დიდი მადლობა ნოვოროსიისკისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ქალაქების განმათავისუფლებელთა გმირობის მაღალი შეფასებისათვის, რომელთა შორის ბევრი ქართველი მეომარი იყო.

(საქინფორმი).

ცვლა მივცეთ ღირსეული!

სწავლების ახალი ფორმის სრულყოფისათვის; საშუალო პროფტექნიკური განათლება — ყურადღების ცენტრში

ბოლო ხანს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, ეროვნული შემოსავლის ზრდაში, ადამიანთა ყოფიერებაში ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ინოვაციათა ადგილი ფასეულ, ფასეულ ხდებოდა. ეს ინოვაციები ეფუძნებოდა ადამიანთა ცოდნის, ინტელექტის, ენერგიის, ინიციატივის, ინოვაციურ ფიქრის ზრდას

ნაყოფიერი თანამშრომლობა

კოუვოლა (სამხრეთ აღმოსავლეთი ფინეთი), (საკადესის სპეც. კორ.). აქ გაიმართა საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით აგებული სხრ კავშირ-ფინეთის გაზსადენის საექსპლოატაციოდ გადაცემის საზეიმო ცერემონია.

ცერემონიაზე ჩამოსულმა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა აანთო სიმბოლური ჩირაღდანი პირველი საბჭოთა გაზისაგან, რომელიც ფინეთმა მიიღო.

საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ ფინეთის პარლამენტის თავმჯდომარე ვ. ი. სუქსელაინენი, პრემიერ-მინისტრი კ. სორსა, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კარიალაინენი, საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის წევრები სხრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ს. ა. სკაჩკოვის მეთაურობით, სხრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ს. სტეპანოვი.

სახელმწიფო სააქციო საზოგადოება „ნესტეს“ გენერალურმა დირექტორმა უ. რა

პენსიების ახალი განაკვეთები

როგორც ვიცით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ ოფიცრებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და შუალიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს მოემატოთ ინვალიდობის პენსიები და გაიზარდოს მარჩენალდაკარგული ოჯახების პენსიები.

საქინფორმის კორესპონდენტმა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პენსიების ჯგუფის უფროსს მაიორ კ. გიორგაძეს სთხოვა განემარტა ეს დადგენილება და ეთქვა, თუ კონკრეტულად როგორ უმჯობესდება ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებ ომის ინვალიდთა და დაღუპული მეომრების ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, თქვა მაიორმა გიორგაძემ, დაუფსრომლად ზრუნავენ მეომრებზე, რომლებმაც ჯანმრთელობა დაკარგეს სამშობლოს დაცვის დროს, აგრეთვე დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ შეღავათებსა და უპირატესობებს დიდი სამამულო ომის ინვალიდებისათვის რკინიგზის, სანაოსნო და საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობისას; ბევრ მათგანს საქალაქო ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლება აქვს. საქართველოში ოთხი ათასზე მეტმა ომის ინვალიდმა უფასოდ მიიღო ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“, 130 კაცს ასეთი მანქანები მეორედ მიეცა.

ომის ინვალიდებს შეღავათი აქვთ აგრეთვე საცხოვრებელი ბინით, მედიკამენტებით, სანატორიული მკურნალობით უზრუნველყოფაში.

ომის ინვალიდებზე და დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრებზე ზრუნვის ახალი ნათელი გამოვლინებაა დადგენილება მათთვის პენსიების შემდგომი მომატების შესახებ. სამხედრო მოსამსახურეთა მარჩენალდაკარგულ ოჯახებს პენსიები მოემატათ უკვე გასული, 1973 წლის 1 დეკემბრიდან, ხოლო ზოგიერთი კატეგორიის ასეთ ოჯახებს, აგრეთვე ინვალიდებს — ემატებათ 1974 წლის 15 დეკემბრიდან. ემატებათ პენსიების მინიმალური ოდენობა ომის მუსმე ჯგუფის ინვალიდებს: ოფიცრებს — თვეში 45 მანეთამდე, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და შუალიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს — 40 მანეთამდე. 70 მანეთამდე ემატებათ პენსიების მინიმალური ოდენობა ომის მეორე ჯგუფის ინვალიდებს, 90 მანეთამდე — ომის პირველ ჯგუფის ინვალიდებს.

ახალი დებულების მიხედვით ფრონტზე დაღუპულ შუალიანს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების პენსიის მინიმალური ოდენობა შეადგენს ერთ სარჩენ წევრზე — 36 მანეთს, ორზე — 54 მანეთს, სამსა და მეტ წევრზე — 85 მანეთს, მაშინ როდესაც წინათ ეს პენსიები შეადგენდა თვეში შესაბამისად 23, 33, 55 მანეთს.

ოფიცერი, რომელიც ომის წლებში ოჯახს მეთაურობდა და უბედური შეძთხვევის გამო პირველი ჯგუფის ინვალიდი გახდა, ახლა იღებს 73 მანეთ პენსიას, ახალი კანონით კი მიიღებს 97 მანეთამდე. ასეთივე ოფიცრის მარჩენალდაკარგულ ოჯახებს პენსია ემატებათ — 30-დან 55 პროცენტამდე ოჯახის შრომისუნარო წევრთა რიცხვის კვალობაზე.

მატულობს აგრეთვე მოხუცებულობის პენსია. მაგალითად, ცნობილია, რომ შეზღუდული შრომისუნარიანობის გამო ომის ინვალიდებს მოხუცებულობის პენსიაში გასვლისას ხშირად მაღალი გამომუშავება არ აქვთ ხოლმე. მაშასადამე, პენსიებიც ნაკლები ენიშნებათ უფრო შრომისუნარიან მოქალაქეებთან შედარებით.

ახალ დებულებაში გათვალისწინებულია ეს გარემოება და დასახულია, რომ ომის ინვალიდებისათვის მოხუცებულობის პენსიის დანიშვნისას გაუდიდონ მისი ოდენობა თვეში 15 მანეთით.

რესპუბლიკურმა სამხედრო კომისარიატმა უკვე გადასინჯა ორი ათასზე მეტი პენსიონერის საპენსიო საქმეები და დაურიცხა მათ პენსიები ახალი, გადიდებული განაკვეთის მიხედვით. მოვიყვანთ ზოგიერთი პენსიონერის რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს.

თბილისის მცხოვრებ მ. კეკაყამაძის ოჯახი ახალი დადგენილების გამოს�sულამდე ოჯახის ორ შრომისუუნარო წევრზე თვეში იღებდა 83 მანეთ პენსიას, ახალი დებულებით კი მას უკვე დაერიცხა პენსია 132 მანეთის ოდენობით. თბილისელი ა. თორთლაძე, რომელსაც ქმარი ომში დაეღუპა, წინათ ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრზე თვეში იღებდა 58 მანეთ პენსიას, ახლა კი 75 მანეთს მიიღებს.

ზესტაფონელ პენსიონერს ზ. ფერაძეს ოჯახის ორ შრომისუუნარო წევრზე პენსია 48 მანეთიდან 69 მანეთამდე მოემატა. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

რესპუბლიკური და რაიონული სამხედრო კომისარიატები დიდ განმარტებითს მუშაობას ეწევიან პენსიონერებთან, დეტალურად აცნობენ მათ არსებულ წესებსა და დებულებებს. რომელთა საფუძველზე უუმჯობესდებათ საპენსიო უზრუნველყოფა. ცნობილია, მაგალითად, რომ ყოველ მოქალაქეს, რომელსაც უფლება აქვს პენსია მიიღოს სხვადასხვა ორგანოდან, შეუძლია მიიღოს მხოლოდ ერთი პენსია თავისი არჩევანით. დაწვრილებითი კონსულტაციის შედეგად გარდაცვლილი ოფიცრის ცოლ ე. ჩიგოგიძეს, რომელიც თბილისში ცხოვრობს, პენსია 56 მანეთიდან 132 მანეთამდე გაუხდიდა.

საქართველოს ათასობით პენსიონერი დიდ მადლიერებას და გულითად მადლობას უძღვნის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას იმის გამო, რომ ასე ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების, კერძოდ, დიდი სამამულო ომის ძნელბედობის ჟამს სამშობლოს დამცველ ყოფილ მეომართა და მათი ოჯახის წევრთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. (საქინფორმი).

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲜᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲜᲐᲕᲚᲔᲛ ᲨᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ. (საკ. კორ.). მთები თოვლის ხქელი ფენით დაიფარა. ტყის ბინადართ სულ უფრო უჭირთ საკვების ძებნა. ამიტომ ბევრი ნადირ-ფრინველი ბარს უახლოვდება, ადამიანთა სიახლოვეს ელის ხსნას.

ასე დაემართა ერთ სუსხიან დილას ტყის მშვენებას — თვალსატაცა შველს, რომელიც სოფელ ჩაჩხრიალის მახლობლად ბალახის საწოწკნად ჩამოსულიყო. უწყინარი ცხოველი ჯერ იყო და ძალებმა არ დაინდეს, გნიასით დაედევნენ. შველმა სამშველად ადამიანებს მიაშურა — მახლობლად მცხოვრებ თედეშვილების ეზოში შევარდა, მაგრამ... ადამიანთა შორისაც აღმოჩნდა გულქვა. მეზობელი სახლიდან თოფჩამარჯვებული კაცი გამოვარდა და იარაღი შველს დაუმიზნა.

— არ ესროლო, ძია! — სასოწარკვეთით შეპყვირა ხმაურზე გარეთ გამოსულმა მეხუთე კლასის მოსწავლემ ვაჟა თედეშვილმა და უნებლიე „სტუმარს“ აეფარა. შველმა ინსტინქტით შეეგრძნო მშვეელი, და პატარა ვაჟას მიეკრა. ვაჟამ დედის დახმარებით შველი შინ შეიყვანა, გაათბო, კარგად აჭამა. მეზობლების რჩევით ვაჟამ შველი ახმეტის ვაზის სანერგე საბჭოთა მეურნეობაში მიიყვანა.

სოფელ ჩაჩხრიალელმა მოსწავლეებმა ვაჟა თედეშვილის მაგალითისამებრ, გადაწყვიტეს მფარველობა გაუწიონ ტყის ბინადართ, ფიზიზლად ადევნონ თვალყური და ბოროტი ადამიანებისაგან იხსნან უმწეო სულდგმულნი.

ა. თვალიაშვილი.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ერთ-ერთი უძველესი თეატრი — მოსკოვის გორკის სახელობის სამხატვრო თეატრი თავის 75-ე სეზონს ახალ შენობაში აატარებს.

თეატრის 1.370-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზი აღჭურვილია სპეციალური ბგერითი მოწყობილობით და ოთხ ენაზე სინქრონული თარგმნის სისტემით. პარტერის პირველი სამი რიგი შეიძლება მოიხსნას, და მაშინ სცენის წინ იქმნება ორკესტრის რღმული მუსიკოსთათვის.

ᲡᲬᲠᲐᲗᲗᲘᲡ: მოსკოვის გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრის ახალი შენობა.

ᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ოჯახში, რომლებსაც ლიტვის სს რესპუბლიკის ალატუსის საყოფაცხოვრებო მაცივრების ქარხანა უშვებს, შევსებაა: აქ შეიქმნა ახალი კომპრესორული მაცივარი „სნაიგე-11“. იგი იღება როგორც სახელურით, ისე პედალის დახმარებით. მაგრამ ახალი მაცივრის მთავარი ღირსებაა კამერის სიდიდე. მისი ტევადობა 240 ლიტრია.

ᲡᲬᲠᲐᲗᲗᲘᲡ: ალიტუსის ქარხნის კონსტრუქტორი ვიტაუტას ლაბუნაიტისი სინჯავს მაცივარ „სნაიგე-11“-ს.

ᲤᲝᲢᲝᲙᲠᲐᲜᲘ





ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ საწარმოო-ტექნიკური გაერთიანება „ელექტრონის“ ერთ-ერთ საწარმოში აშენებულია „ელექტრონ-703“ ფერადი სატელევიზიო მიმღებების დამამზადებელი საამქრო. მისი შექმნისა და ალეურვის დროს გამოყენებულია უახლესი მოწყობილობა.

ახალი ფერადი ტელევიზორი „ელექტრონ-703“ გაცილებით უფრო სრულყოფილი და ლამაზია, ვიდრე ლვოვში წინათ გამოშვებული ტელევიზორები.

ᲡᲬᲠᲐᲗᲗᲘᲡ: „ელექტრონ-703“ ფერადი სატელევიზიო მიმღებების ასაწყობი უბანი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲗᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲝᲠᲐᲡᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲓᲦᲔᲚᲐᲛᲔ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨ

ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲚᲐᲓ! ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ!

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ხარიტონოვს არასოდეს არ შეუდარებია ზღვა აბრეშუმისათვის, რომელიც მომწვანო-მოცისფრო ფერად ლივლივებს, როგორც ამას პოეტები აკეთებენ. იგი, საავარიო-მაშველი სამსახურის კამჩატკის სამმართველოს უძველესი მყვინთავი, მას სულ სხვანაირს იცნობდა: ფერადი ქვების გროვები, ქვიშა, ლამინარიის მერხევი ფოთლები, სილეტები თევზისა, რომლებიც ანლომალო დაცურავენ ან სადღაც მიისწრაფვიან, და გასაოცრად გამბედავი, ცნობისმოყვარე პაწია ღორჯოები. ამ თევზებს სულ არ ეშინიათ ადამიანისა, უახლოვდებიან ილუმინატორს და, განაბულნი, ყურადღებით ათვალიერებენ უცხო მოსულს.

...გემბანზე ასვლისას ხარიტონოვი მოიმძინებინთ ელის, როდის გახდიან, ტვირთებს აცალიან. და აი მოხადეს აუზარადი, გახადეს საყვინთავი ტანრანგი, და ჩემს წინაშეა შუახნის ჯმუხი, მშვიდი ადამიანი, რომელსაც თბილი სვიტერი აცვია და მუქი ბერეტი ახურავს.

ჩვიდმეტი წელი წყალქვეშ მუშაობა — ასეთია ვეტერანის სტაჟი. ძნელია მყვინთავის შრომა. იგი სრულყოფილად უნდა იყოს დაუფლებული ბევრ პროფესიას: შემდუღებლის, ამომჭრელის, მებეტონის, მეარმატურის, დურგლის პროფესიებს, შეეძლოს აწარმოოს ჰიდროტექნიკური, გემთსარემონტო, სამიგბო სამუშაოები.

1-ლი კლასის მყვინთავი ხარიტონოვი მონაწილეობდა კამჩატკაზე წარმოებულ ყველა საავარიო-მაშველ ოპერაციებში.

ათი წლის მანძილზე ვიქტორი ხელმძღვანელობდა რაზმის ერთ-ერთ საუკეთესო ჯგუფს. 1968 წელს იგი თავისი ამხანაგებით ხელმძღვანელობდა 100 ტონიანი მსუქრავი ამწეების ბუქსირებას იაპონიაში, ჰავაის კუნძულებზე, პანამაში. 1972 წლის მარტში ვიქტორს შესთავაზეს სათავეში ჩასდგომოდა რვა კაცისაგან შემდგარ ჯგუფს მაშველი სამუშაოების ჩასატარებლად ჩიტაგონგში, ახალგაზრდა დამოუკიდებელი ბანგლადეშის რესპუბლიკის პორტის ქალაქში.

— ჩიტაგონგში ჩვენი საზღვაო ბუქსირით „იზილმეტიევით“ ჩავედით, ის ახლაც იქ არის, — დაიწყო თხრობა ვიქტორ ხარიტონოვმა. — ძნელი იყო შევჩვეოდი ჰავის მკვეთრ შეცვლას, ჩვენ ხომ კამჩატკის გრილ ჰაერს ვართ მიჩვეული, აქ კი დაგვხვდა სიცხე პლუს 55°, წყლის ტემპერატურა ზოგჯერ პლუს 40 გრადუსს აღწევდა. ძალიან გაგვიჭირდა მუშაობა. მაგრამ მერე შევეჩვიეთ, და ყველაფერი რიგზე იყო.

ჩვენი ჯგუფი აწარმოებდა საბერძნეთის ჩაძირული ტანკერის „ვალასის“ ამოღებას, რომლის წყალწყალა 18 ათასი ტონა იყო. იგი აფეთქებულ იქნა პირეაქის პორტში. აფეთქების შედეგად ხომალდი შუაზე გადატყდა. ჩვენ კი კიჩის ნაწილის ევრმეტიზაციას ვაწარმოებდით. წყალი, სადაც ტანკერი ჩაძირა, ღრმა არ იყო მაგრამ მდინარეს, რომლის შესართავში განლაგებულია პორტი, ძლიერ სწრაფი დინება და მდგრეგ წყალი აქვს. მუშაობა გვიხდებოდა ხელის ცეცებით. ეს მეტად რთული სამუშაო იყო. და მაშინ მყვინთავმა სერგეი ემელიანჩიკმა გამოიგონა ბნელში ნახვრეტების მიგნების ხერხი. ხის ძელის ბოლოში დავამაგრეთ კავი, რომლითაც ვსინჯავდით კორპუსს და ვპოულობდით მასში ნახვრეტებს. მათზე გავაკეთეთ 33 წყალქვეშა ნაკერავი. წყლის ამოქაჩვის შემდეგ კიჩო ამოტივტივდა.

სპეციალისტებს, რომლებიც სამუშაოს იღებდნენ, უკვირდათ, როგორ შევძელით ძალიან პატარა ნახვრეტების დამოქლოსვაც კი. გემის წინა ნაწილის ჰერმეტიზაციისაც ჩვენი ჯგუფი აბარებდა, მაგრამ სამუშაო დაამთავრა უკვე სხვა ჯგუფმა, რომელიც ჩამოვიდა ჩვენს შესაცვლელად. ბანგლადეშში რვა თვე ვიყავით. ამ ხნის განმავლობაში წყალქვეშ 400 საათი დავყავი.

— ჩიტაგონგში რომ ჩავედით, — განაგრძო ვიქტორმა, — დანგრეული ქალაქი დავინახეთ. ამ ქვეყანამ ის იყო მოიპოვა დამოუკიდებლობა, იწყებოდა აღდგენის ძნელი პერიოდი. ჩვენ ჩვენს ინტერნაციონალურ მოვალეობად მივიჩნიეთ შეძლებისამებრ დავხმარებოდით ახალგაზრდა რესპუბლიკის ხალხს, რომელმაც თავისუფლება დიდი მსხვერპლის ფასად მოიპოვა. ბანგლადეშელები ცნობისმოყვარე, შრომისმოყვარე ხალხია. ჩვენ ამაში დავრწმუნდით, როცა ადგილობრივ მყვინთავებთან მხარდამხარ ვმუშაობდით.

როცა ჩიტაგონგიდან მოვდიოდით, ვნახეთ, რომ ნავსადგურში უკვე წარმოებდა გემების გადმოტვირთვა, ბევრი მათგანი მოსული იყო სოციალისტური ქვეყნებიდან: სსრ კავშირიდან, პოლონეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან...

ამას წინათ ვიქტორ ხარიტონოვს 42 წელი შეუსრულდა. მყვინთავისათვის ეს მცირე ასაკი როდია. საერთო ანგარიშით მან წყლის ქვეშ გაატარა ექვსი ათასი საათი — ეს 250 დღე-ღამეა. ახლა ხარიტონოვი ახალგაზრდებს ასწავლის.

...წლის ყოველ დროს, თუ საჭიროა, მყვინთავები იმ რაზმიდან რომელსაც ვიქტორ ხარიტონოვი ხელმძღვანელობს, ჩადიან წყალში. და მაშინ ანძაზე ქარი აფრიალებს მწვანე ალმებს, და გემები შორს უვლიან ერთ ადგილას გაჩერებულ ბუქსირს, უკლებენ სვლას სულ მცირემდე: „ფრთხილად! წყალქვეშა სამუშაოები მიმდინარეობ ს!“.

ᲐᲜᲐ ᲑᲐᲠᲐᲥᲐᲕᲐᲘᲐ,
ახალი ამბების საკორესპონდენტი.

ᲛᲣᲚᲛᲐ ᲬᲧᲐᲒᲝ

ᲒᲣᲨᲘᲜ მეჩვიდმეტე ტურში სტერნინამ მოუგო გათამაშების ლიდერს შულს, გრინფელდმა — მულენკოს, მოროზოვამ — სტრელნიკოვას, ალეოხინამ — მატვეევას.

ჩიბურდანიძე-გაფრინდაშვილის პარტია გადაიღო რთული პოზიციაში, შედეგანიკოვა უგებს ფომინას, მწვავე პოზიციაა კოზლოვსკაია-ზვორიკინას პარტიაში.

ამრიგად, 17 ტურის შემდეგ 12 ქულით პირველ ადგილზეა შული, გაფრინდაშვილსა და შედეგანიკოვას 11,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, კოზლოვსკაიას — 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

დღეს მორიგი მეთვრამეტე ტურია. გაფრინდაშვილი ეთამაშება სტერნინას, შული — პეტკოს, შედეგანიკოვა — შავებით ეთამაშება მულენკოს, ხოლო კოზლოვსკაია — ზატულოვსკაიას.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ

ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲤᲝᲛᲘᲜᲐ,
ოსტატობის კანდიდატი.

ᲡᲐᲛᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ქალაქ ჰასტინგსის ტრადიციულ საახალწლო ვაჟთა ტურნირზე თორმეტი ტური გადამამშვა, გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი გენადი კუზმინი დამარცხდა იუგოსლავიელ სვეტოზარ გლიგორიჩისან, მიხეილ ტალმა გაიმარჯვა ინგლისელ ოსტატ მაიკ სტენთან, უნგრელმა ლასლო საბომ მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეს ჰაკ ბენჯოს, ხოლო უნგრელმა ანდრაშ ადორიანმა — ჰოლანდიელ იან ტიმანს.

თორმეტი ტურის შემდეგ შეჯიბრებას სამი ლიდერი ჰყავს: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ტალი, გროსმაისტერები გენადი კუზმინი და ლასლო საბო, რომელთაც რვანახევარ-რვანახევარი ქულა აქვთ.

ᲗᲐᲡᲘ — ᲠᲝᲓᲜᲘᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲐᲘᲩᲔᲕᲡ

ᲩᲔᲚᲘᲐᲑᲘᲜᲡᲙᲘᲗ გრძელდება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ფიგურულ სრიალში. საპატიო ჯილდო ძოიპოვეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა ირინე როდნინამ და ალექსანდრე ზაიცევმა, რომლებმაც შესანიშნავად შეასრულეს თავისუფალი პროგრამა. მსაჯების შეფასება ერთსულოვანი იყო — ცხრაე ბალი. ასეთივე შეფასება ჯერ არავის არ დუმსახურებია.

მეორე ადგილი მოიპოვეს მოსკოველმა ფიგურისტებმა ნატალია გორშკოვამ და ევგენი მიროვლესკიმ, მესამე ადგილზე გამოვიდნენ ლენინგრადელი სპორტსმენები 15 წლის ირინე ვორობიოვა და 18 წლის ალექსანდრე ვლასოვი.

ვაჟთა შორის სავალდებულო პროგრამით შეჯიბრებაში დაწინაურდა ვლადიმერ კოვალიოვი; ქალთა შორის წინ არის ალა კორნეევა.

ᲑᲐᲖᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲧᲝᲚᲘᲚᲜᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲘᲓᲘ

მოხეტიალეთა და ბაზარს გადაყოლილთა ნაკვალევს გავყვეთ.

ქალაქ ხერსონში ტაქსში ჩავჯექით.

— რა ჩამოიტანეთ, ბიჭებო, გასაყიდად?.. რომელ ბაზარში წაგიყვანოთ?.. — ირონიული ღიმილით შეგვეკითხა მძღოლი და ავტომანქანა ადგილიდან დასძრა.

— რატომ გვეწინაო, რომ სავაჭროდ ჩამოვედით, რა შეგვატყვევ ამისთანა? — შეეკითხა ერთი ჩვენთაგანი.

— ხერსონში სხვა რა საქმე უნდა გქონდეთ? იქიდან მოგაქვთ, აქედან მიგაქვთ. ვაჭრობა ხომ თქვენი პროფესიაა, — თქვა მძღოლმა და ცინიკურად ჩაიცინა.

ერთიმეორეს გადავხედეთ. უთქმელადაც გასაგები იყო, რომ სამივემ ერთნაირი გულისტკივილი განვიცადეთ.

... ამ ქალაქში, ვისაც კეკეასიური იერი ჰქონდა, ყველას გამოველაპარაკეთ, მაგრამ კიხალამ თავიანთი ხურმა და ბრონეულიც კი დაიფიცეს, დახლებზე გასაყიდად რომ გამოეფინათ, — ჩვენ საქართველოდან არა ვართო.

საქართველოდან ჩამოსულ ქორვაჭრებს მართლაც ვერ შეეხვედი. თუმცა, ყოფილან ისინი ხერსონში. მათ მიერ დატოვებული ოქროსფერი კვალი ჯერაც არ იყო წაშლილი.

რესტორან „კიევის“ დირექტორის მოადგილეს ივანე კუზმინენკოს ერთი ფეხით მივასწარით.

— ციტრუსები ყელამდე გვაქვს, ბიჭებო. მეტს ადარ შევინყიდით, — ხელებს ასავსავებდა ივანე და კაბინეტიდან გვერეკებოდა.

ჩვენ მწარედ გაგვეცინა და კაბინეტიდან გამოსვლაზე არც გვფიქრია. ივანემ თვალები რამდენჯერმე დაახამხამა, მხრები აიჩეჩა...

— ასლავე აგიხსნით ჩვენი ვიზიტის მიზეზს. გეაინტერესებს, ვისგან შეინყიდეთ მანდარინი? — ვუთხარით ივანეს და ჩვენი თავი წარვუდგინეთ.

ივანე საწერ მაგიდას მიუბრუნდა. ერთსახს დადუმდა. შემდეგ უკმაყოფილოდ თქვა:

— დასწყევლოს ეშმაკმა... იგი ჩვენი ხშირი სტუმარია და გვარს მაინც ვერ ვიმახსოვრებ. თუმცა ბუღალტერი გვეტყვის... საერთოდ, რომ იცოდეთ, მეც და დირექტორიც ამ მანდარინის შესყიდვის წინააღმდეგი ვიყავით. 2430 კილოგრამი მანდარინის შენახვა ხუთრობა საქმე ხომ არ არის. ამას ვინ ჩივის, შესასყიდი ფული კი არ გვქონდა. მაგრამ ხერსონის ოლქის საზოგადოებრივი კვების ტრესტშია ივანე ვდოვჩენკოსთანო,—თქვა ბუღალტრის მოვალეობის შემსრულებელმა.

მარკოსიანს კარგად უცაჭრია, კოლეგაჭრობისთვის 3476 კილოგრამი მანდარინი და 970 ცალი ლიმონი მიუყიდია და 9641 მანეთი ჩაუჯიბავს.

კუზმინენკო სიტყვის კაცი გამოდგა. თვითონვე მოგვიბეზა.

— აგერ თქვენი თანამოძმის ნამდვილი მისამართი, — ვიდრე გადმოგვცემდა, ხმამაღლა წაიკითხა. — „ᲐᲨᲮᲐᲜᲗᲘᲡ ᲐᲡᲚᲠ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲡᲮᲣᲨᲘ, ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲛᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ. ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲑᲝᲠᲘᲡᲘᲡ-ᲫᲔ ᲛᲐᲠᲙᲝᲡᲘᲐᲜᲘ“...

მოგეცათ ლხენა, კარგი მადა და დიდი ჯიბე ჰქონია მარკოსიანს. ხერსონში ერთი ჩასვლით კოოპვაჭრობას და რესტორან „კიევს“ 16.443 მანეთი ააფცქვნა. ახლა იგი ალბათ მორიგ რეისშია, ან წასასვლელად ემზადება. ნუთუ იგი კიდევ შესძლებს „მვიდად“ გაცდეს რესპუბლიკის საზღვაოზე საკონტროლო პუნქტს?

საინტერესოა, რას იტყვიან შესაბამისი პარტიული, საბჭოთა ან ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი ამხანაგები. ხომ არ დაინტერესდებიან თუ როგორ მოახერხა მარკოსიანმა ასეთი დიდი რაოდენობით მანდარინისა და ლიმონის ხერსონამდე ჩატანა, ეინ დაეხმარა მას?

ხერსონიდან ხმელნიცკში გავემგზავრეთ, კომუნეგ-პოდოლსკსაც ვეწვიეთ, მაგრამ საქართველოდან „მოსულთა ჭაპანებაც არსად იყო. ვინღაცაი კი ორიოდე ქართველს შევხვდით, მაგრამ ფიცით ცოლშვილი გაიწყვიტეს, სასყიდლებზე ჩამოვედითო.

კიევში კი გაკვირვებულნი დავრჩით, როცა შევხვედეთ, რომ კურანიანსა და მარკოსიანის კოლეგებისათვის ფართოდ გავლოთ ცენტრალური ბაზრის კარი. დახლებზე მათ მომწვანო-მოყვითალო მანდარინების პირამიდები აეშენებინათ და სარფიანი ვაჭრობით გახალისებულნი მყიდველს ხმამაღლა ეპატიჟებოდნენ. გაქნილი ქორვაჭრის ენით აქებდნენ მანდარინს, ვარდებს, მიხაკებს და სხვა ყვავილებს. ისინი ორმოცდაათამდე იქნებოდნენ...

მანდარინი და ყვავილები ჩვენებურს ჰგავდა, მაგრამ გამყიდველებს სხვა რესპუბლიკის მოქალაქეთა დოკუმენტები აღმოაჩნდათ.

აქვე ჩვენს თანამემამულეებსაც შეეხვედით, ანა ᲓᲘᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲡᲚᲡ მინსკიანს, რომელიც დაბადებულია 1916 წელს და ცხოვრობს ბაგრატში დემირჯიბას ქუჩაზე № 2-ში და სილვარდ რაფაელის ასულ ᲨᲘᲠᲘᲜᲘᲡᲐᲜᲡ, დაბადებულს 1938 წელს. ისიც ბაგრატში ცხოვრობს — ᲕᲐᲟᲐ-ᲨᲣᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ № 9-ᲨᲘ.

ამ დიასახლისების გვერდით სახეშეჯაგრული ხუბა ᲥᲣᲩᲣᲚ-ᲫᲔ ᲪᲘᲜᲐᲕᲔ ვაჭრობდა. პასპორტის ჩანაწერებს თუ დავუჯერებთ იგი უნდა ცხოვრობდეს ზუგდიდში, ლომოურის ᲥᲣᲩᲐᲖᲔ № 57-ში, მაგრამ სინამდვილეში ხუბა ზუგდიდიდან ჯერ კიდევ 1965 წელს არის წასული და გალის რაიონის სოფელ რუფში ცხოვრობს.

ცხოვრობს და სახელიც აქვს გათქმული, როგორც ლუფის მთავარსებ და მომყვანს. მას შვილი რომ მოუნათლო, ადგილზე ერთ ცალ ლუფსაც ვერ გაყიდვინებ, მხოლოდ რუსეთის ბაზრებში მიაქვს.

ასევე იქცევიან სხვა სპეკულანტებიც — კურანიანი, მარკოსიანი, მინსოსიანი და ბოგოსიანი. ნუთუ ყოველივე ამას ვერ ამჩნევენ გაგრის, გალის, გულრიფშის რაიონებში სადაც ისინი ცხოვრობენ და საიდანაც გაქეთ გასაყიდათ დიდძალი ციტრუსები სპეკულანტურ ფასებში გასაყიდათ.

დროა სასტიკი პასუხი მოვთხოვოთ მათ. ბაზარს გადაყოლილთა დასასჯელად კანონის ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ.

Ი. ᲗᲐᲕᲐᲫᲔ.
მახარაძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკი,

Ვ. ᲙᲝᲠᲡᲐᲜᲢᲘᲐ.
ქალაქ სოხუმის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკი,

რ. ᲒᲐᲡᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ᲨᲐᲒᲘᲐᲛᲐᲜᲘ—ᲘᲐᲙᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲝᲡᲜᲐᲕᲚᲔᲛ ᲨᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ. (საკ. კორ.). მთები თოვლის ხქელი ფენით დაიფარა. ტყის ბინადართ სულ უფრო უჭირთ საკვების ძებნა. ამიტომ ბევრი ნადირ-ფრინველი ბარს უახლოვდება, ადამიანთა სიახლოვეს ელის ხსნას.

ასე დაემართა ერთ სუსხიან დილას ტყის მშვენებას — თვალსატაცა შველს, რომელიც სოფელ ჩაჩხრიალის მახლობლად ბალახის საწოწკნად ჩამოსულიყო. უწყინარი ცხოველი ჯერ იყო და ძალებმა არ დაინდეს, გნიასით დაედევნენ. შველმა სამშველად ადამიანებს მიაშურა — მახლობლად მცხოვრებ თედეშვილების ეზოში შევარდა, მაგრამ... ადამიანთა შორისაც აღმოჩნდა გულქვა. მეზობელი სახლიდან თოფჩამარჯვებული კაცი გამოვარდა და იარაღი შველს დაუმიზნა.

— არ ესროლო, ძია! — სასოწარკვეთით შეპყვირა ხმაურზე გარეთ გამოსულმა მეხუთე კლასის მოსწავლემ ვაჟა თედეშვილმა და უნებლიე „სტუმარს“ აეფარა. შველმა ინსტინქტით შეეგრძნო მშვეელი, და პატარა ვაჟას მიეკრა. ვაჟამ დედის დახმარებით შველი შინ შეიყვანა, გაათბო, კარგად აჭამა. მეზობლების რჩევით ვაჟამ შველი ახმეტის ვაზის სანერგე საბჭოთა მეურნეობაში მიიყვანა.

სოფელ ჩაჩხრიალელმა მოსწავლეებმა ვაჟა თედეშვილის მაგალითისამებრ, გადაწყვიტეს მფარველობა გაუწიონ ტყის ბინადართ, ფიზიზლად ადევნონ თვალყური და ბოროტი ადამიანებისაგან იხსნან უმწეო სულდგმულნი.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲜᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲜᲐᲕᲚᲔᲛ ᲨᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ. (საკ. კორ.). მთები თო